სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა
დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“

გამარტივებული ელექტრონული
ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“–ს ტერიტორიულ ერთეულიში (ფილიალი) ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი
2016 წელი

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება, სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები:

1.1. ტექნიკური დავალება განსაზღვრულია დანართი №2-ით, გასაწევი სამუშაოს ჩამონათვალი განსაზღვრულია დანართი №1-ით (ხარჯთაღრიცხვით).

1.2. სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები განსაზღვრულია დანართი №2-ით.

1.3. სატენდერო წინადადების ფასი.

1.3.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი და ხარჯთაღრიცხვა დანართი №1–ის (იხ. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1) მიხედვით.

1.3.2 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში, მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, ხარჯები უნდა მოიცავდეს სამშენებლო ნარჩენებისა და მასალებისგან სამშენებლო ობიექტის გათავისუფლებისა და დასუფთავების ხარჯებსაც. ხარჯები, რომელიც არ იქნება გათვალისწინებული სატენდერო წინადადების ფასში არ ანაზღაურდება.

1.4. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ინფორმაცია:

ა) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი, ხარჯთაღრიცხვა დანართი №1-ის (იხ. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1) მიხედვით.

პრეტენდენტმა დანართი №1–ში უნდა შეავსოს მხოლოდ ცარიელი გრაფები, ხოლო სხვა დანარჩენი ინფორმაციის შეცვლის უფლება პრეტენდენტს არ გააჩნია და უნდა დაეთანხმოს შემსყიდველის მოთხოვნებს.

პრეტენდენტმა დანართი #1–ის შევსებისას უნდა გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის–სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის" დამტკიცების შესახებ

დანართი №1 წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმისა და შინაარსის დაცვით;

ბ) თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ დანართ №2-ზე (ტექნიკური დავალება სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები)

გ) თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ანგარიშსწორების პირობაზე (დანართი №3);

დ) რეკვიზიტები – დანართი №4–ის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ე) თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების შესახებ (დანართი №5);

ვ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ (დანართი№6);

ზ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში)

1.4. <u>პუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაციის ყველა გვერდი ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ .</u>

2. ანგარიშსწორების პირობები:

2. 1. ანგარიშსწორების პირობები და ვადები განსაზღვრულია დანართი №3-ის მიხედვით

3. დაფინანსების წყარო - 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

4. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 138 000 (ასოცდათვრამეტი ათასი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და მოსაკრებელის გათვალისწინებით.

5. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

6. დამატებითი მოთხოვნები

6.1. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

6.2 სპეცილიზირებული ხელსაბანი, სპეცილიზირებული ასაკეცი სკამი და სპეციალიზირებული სახელურები უნდა იყოს თანდართული ფოტოების მსგავსი.

დამატებითი ინფორმაცია.

1. შემსყიდველი ორგანიზაციისაგან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს ნებისმიერ მიმწოდებელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდულის „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით შესაბამისი ტენდერისთვის „ტენდერი გამოცხადებულია“ სტატუსის მინიჭებიდან „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა.
2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტენდერთან დაკავშირებული დაზუსტება/განმარტება განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდულის „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ტენდერისთვის „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებამდე გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა შესაბამის ტენდერში წინადადებების მიღების დასრულებამდე.
3. ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დაზუსტება/განმარტება განხორციელდება ასევე შესაბამისი ტენდერისთვის „შერჩევა/შეფასების“ სტატუსის მინიჭებიდან „ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მინიჭებამდე, მიმწოდებლის მიერ დაზუსტების/განმარტების მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში.
4. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირები არიან: სატენდერო კომისიის აპარატის წევრი ნინო სარაჯიშვილი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი შოთა ჯორჯიკია და სატენდერო კომისიის აპარატის წევრი ჯაბა ციციშვილი. ტელ: +99532 239-53-19.

დანართი №2

ტექნიკური დავალება, სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები

1.ტექნიკური დავალება

1.1. პრეტენდენტმა უნდა განახორციელოს სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"–ს ტერიტორიულ ერთეულში (ფილიალი) ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში სამონტაჟო სამუშაოები. სამონტაჟო სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია -სატენდერო დოკუმენტაციის დანართ №1-ში (ხარჯთაღრიცხვა).

1.2. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა და უსაფრთხოება: მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოს დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

1.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

ა) სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით 5 დღის განმავლობაში გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა - დანადგარებისაგან, მასალებისაგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და ა.შ; ასევე მიმწოდებელი ვალდებულია სამონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდეგ უზრუნველყოს იატაკების, ფანჯრების, კარების, კედლებისა და სველი წერტილების დასუფთავება.

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოებში დასაქმებული პერსონალის შრომის უსაფრთხოება და აწარმოოს სამუშაოები აღნიშნული სამუშაოებისათვის გათვალისწინებული ნორმებისა და სტანდარტების დაცვით.

გ) მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დაწყებამდე შემსყიდველთან შეათანხმოს საღებავისა და ლაქის ფერი; იატაკის ლამინატის ფერი; კარებისა და ფარჯრების ფორმა და ფერი; ელექტრო მოწყობილობების და სანათი საშუალებების ფორმა და ფერი, სანტექნიკური და სააბაზანო/საპირფარეშოს მოწყობილობები, კერამიკული ფილების ფორმა და ფერი;

1.4. ნორმატიული დოკუმენტები

მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით;

1.5. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

სახელშეკრულებო ობიექტზე მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, მექანიზმების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა. შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფის წევრ(ებ)ი ჟურნალში აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

1.6. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

ა) შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე.

ბ) სამუშაოს დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს მიმწოდებელი შემსყიდველს ატყობინებს სამუშაოს დასრულების შესახებ. შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საბოლოო ინსპექტირების დასკვნისა და შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ფარული სამუშაოების ჩატარებამდე (არსებობის შემთხვევაში) არაუგვიანეს ერთი დღით ადრე მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ფარული სამუშაოების დაწყების კონკრეტული თარიღის შესახებ. გაუთვალისწინებელი სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება ასეთი ხარჯების არსებობის შემთხვევაში. გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევისას მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს გაწეული ხარჯების დეტალური გაშიფრვა.

2. სამუშაოს შესრულების ვადები

სამუშაოს შესრულება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 70 (სამოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

3. სამუშაოს შესრულების ადგილი.

სამუშაო უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"–ს ტერიტორიული ერთეული (ფილიალი) ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი მის: ქუთაისი,სოლომონ II–ის ქუჩა მე–4 ჩიხი.

_____ _____

(ხელმოწერა) ბ.ა.(ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

1. ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესახებ

- ანგარიშსწორება განხორციელდეს უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ლარში.
- ანგარიშსწორება განხორციელდეს საბოლოო ინსპექტირების დასკვნის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) საფუძველზე, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.

_____ _____

(ხელმოწერა) ბ.ა.(ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

2. წინასწარი ანგარიშსწორება

ა) ანგარიშსწორება განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში.
ბ) გთხოვთ განახორციელოთ წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების ———— %-ის ფარგლებში, ჩვენს მიერ შესაბამისი ოდენობის თანხაზე წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის წარმოდგენასაც ვუზრუნველვყოფთ ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

შენიშვნა:

- წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა ჩაწეროს ავანსის ის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მას სურს წინასწარი ანგარიშსწორებით მიიღოს. წინასწარი ანგარიშსწორება დასაშვებია სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 30% – ის ფარგლებში.
- ავანსის მოთხოვნა წარმოადგენს პრეტენდენტის უფლებას და არა ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტს არ სურს წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) მიღება, პრეტენდენტი არ არის ვალდებული შეავსოს და ხელი მოაწეროს დანართი №2-ის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ წინასწარი ანგარიშსწორების პირობებს.

_____ _____

ხელმოწერა ბ.ა.(ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

დანართი №4

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

_____ _____

(ხელმოწერა) ბ.ა.(ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

დანართი №5

ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების შესახებ

ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში ვავრცელებთ გარანტიას 2 (ორი) წლის ვადით.

_____ _____

(ხელმოწერა) ბ.ა.(ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

დანართი №6

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ

#	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების საგანი (*)	ხელშეკრულების ღირებულება	შენიშვნა
1				
2				
...				
...				

(*) მიმწოდებელს ბოლო ორი წლის (2014–2015წ) განმავლობაში უნდა გააჩნდეს არანაკლებ ერთ ობიექტზე 40 000 (ორმოცი ათასი) ლარის სამშენებლო–სარემონტო სამუშაოების გამოცდილება, რაზეც მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები ან სხვა შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები).

საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება

_____ _____

(ხელმოწერა) ბ.ა.(ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #

ქ.თბილისი — ———— 2016წ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამილა ბარკალაიას სახით.

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №15ᵃ მე–3 სართული.

და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“)

წარმოდგენილი მისი ——————— სახით იურიდიული

მისამართი ———————————— (ორგანიზაციის

დასახელება და იურიდიული მისამართი)

1. ხელშეკრულების ღირებულება

1.1.შემსყიდველმა გამოაცხადა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (განცხადების #SPA———), სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“–ს ტერიტორიულ ერთეულში (ფილიალი) ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე (კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი CPV-45350000 - სამონტაჟო სამუშაოები) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შეასრულოს ------- (----------) ლარის (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება) სამუშაო.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1.ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. სამუშაოს შესრულების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2.შესრულებული სამუშაოს - ხელშეკრულების დანართი №1-ით (ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) - (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1) და ხელშეკრულების დანართი №2-ით (ტექნიკური დავალება, სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები)-(სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი შუალედური და საბოლოო ინსპექტირების დასკვნის შედგენა, შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

2.3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №2-ით - (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2), შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ით - (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1) შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადები და პირობები ხელშეკრულების დანართი №3-ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №5).

4. სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები

4.1. სამუშაოს შესრულება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 70 (სამოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. სამუშაოს მიწოდების პირობები მოცემულია ხელშეკრულების დანართში №2 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2).

5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაოს მიღება ხორციელდება საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად.

5.2. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად, სამუშაოს დასრულებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში, მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს შესრულებული სამუშაოების აქტს.

5.3. ხელშეკრულების 2.3. პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ი არაუგვიანეს ხელშეკრულბის 5.2. პუნქტის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოების აქტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღისა შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულების დანართი №1-ით (ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)-(სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1), ხელშეკრულების დანართი№2-ით (ტექნიკური დავალება, სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ახორციელებს შესრულებული სამუშაოს შემოწმებას, განიხილავს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტს, უდარებს მონაცემებს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით და ადგენს საბოლოო ინსპექტირების დასკვნას.

5.4. იმ შემთხვევაში თუ, შესრულებული სამუშაო შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს, ხელშეკრულების 2.3. პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ი ადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს და ახორციელებს შესრულებული სამუშაოს მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი და/ან მოცულობა არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს სამუშაო.

5.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.6. სამუშაოს შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღეში უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. მიმწოდებელთან საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება საბოლოო ინსპექტირების დასკვნის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) საფუძველზე, საბოლოო მიღება– ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4. წინასწარი ანგარიშსწორების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულოების არაუმეტეს 30% -ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.5. იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება, რომ შესრულებული სამუშაოს ღირებულება ნაკლებია წინასწარ, ავანს(ებ)ის სახით გადახდილ თანხაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტი(ებ)ის გამცემ ორგანოს (გარანტს) სხვაობით გათვალისწინებული თანხის დაბრუნებაზე.

7.მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1.შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების განუხრელი დაცვით.

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან არაუმეტეს 7 (შვიდი) სამუშაო დღეში.

7.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.4. გაავრცელოს შესრულებულ სამუშაოებზე და სამუშაოების მსვლელობის პერიოდში გამოყენებულ მასალებზე გარანტია ხელშეკრულების დანართი №3-ით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

7.1.5. გარანტიის მოქმედების პერიოდში შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღეში, საკუთარი სახსრებით განახორციელოს შემსყიდველის წერილში ჩამოთვლილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოსწორება.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მხრიდან დასმული საკითხები,რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს, ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს აწარმოოს შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების მიწოდებისთვის საჭირო საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1.შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.3 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულების დანართი №2-ით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის (70 კალენდარული დღე) დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2.1. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 13.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 3% და მხარეები ვერ შეთანხმდებიან ხელშეკრულების დანართი #2-ით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის გაზრდაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.2.2. ხელშეკრულების 13.2.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულების 13.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

13.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

13.4.1.თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.

13.4.2. მხარე, რომელიც ხელშეკრულების 13.4.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანოდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

13.4.3.ხელშეკრულების 13.4.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ -ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. ხელშეკრულების 13.2.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას.

14.1.5. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 _წლის ———— ——— ჩათვლით

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'',სამი _ ,,შემსყიდველთან''

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ მის: თამარაშვილის ქ. №15ა _____ **თამილა ბარკალაია** დირექტორი	